პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
— ოქტომბერი 2025 წელი

ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მძლეოსანის, ოლიმპიური ჩემპიონის ვიქტორ სანეევის სახელის მინიჭების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს მძლეოსანის, ოლიმპიური ჩემპიონის ვიქტორ სანეევის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**

პეტრე ქავთარაძის ქუჩა
ფაღავა ფანასხანლიოვის ქუჩა
PARK
ბოლქვარიძის ქუჩა
ბოლქვარიძის ქუჩა
ბოლქვარიძის ქუჩა

საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაცია
NATIONAL ATHLETICS FEDERATION OF GEORGIA

№ 156/ს

01/08/2025

10/032521337-03

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის
თავმჯდომარეს ბატონ ლევან აბაშიძეს

ბატონო ლევან,

საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაცია გაეცნო ქ. თბილისის საკრებულოს 17/07/2025 - ის N 03-032519850 წერილს და მოგახსენებთ რომ მოხარული ვართ სახელოვანი სპორტსმენების სიაში ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონის ბატონ რობერტ შავლაყაძის მოხვედრით, თუმცა ქართველ მძლეოსნებს მიეკუთვნება - ლეგენდარული სამხტომელი - აწ გარდაცვლილი ვიქტორ სანეევი, საქართველოს მე-20 საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი - სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი და მეოთხე ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსანი, შვიდგზის ევროპის ჩემპიონი, ღირსების ორდენოსანი, ვახტანგ გორგასლის ორდენოსანი და ქ. თბილისის საპატიო მოქალაქე. ვფიქრობთ ბატონი ვიქტორი ნამდვილად იმსახურებს რომ თქვენს წერილში ნახსენებ პროექტში რომელიმე ქუჩას მიენიჭოს ამ დიდებული სპორტსმენის სახელი.

გთხოვთ გაითვალისწინოთ.

პატივისცემით,

საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული
ფედერაციის ვიცე- პრეზიდენტი:

ვ. ბერიშვილი

Tsereteli ave. N95a; 0119 Tbilisi ,GEORGIA / ქ. თბილისი , წერეთლის გამზირი 95ა , 0119
TEL: 032 2 35 61 76 ; geoathletics.ge

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

LEPL GEORGIAN STATE TEACHING UNIVERSITY OF PHYSICAL EDUCATION AND SPORT

01-03/02

10/03220353 8-03 01.02.2022

ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

როგორც თქვენთვის ცნობილია ამა წლის 2 იანვარს გარდაიცვალა საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი, თბილისის საპატიო მოქალაქე, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ბრწყინვალეების საპრეზიდენტო და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის, ღირსების, ვახტანგ გორგასლის I და II ხარისხის ორდენების კავალერი, ოლიმპიური თამაშების სამგზის და ევროპის რვაგზის ჩემპიონი, ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, სპორტის დამსახურებული ოსტატი, ვიქტორ სანეევი.

მოგმართავთ თხოვნით, ვიქტორ სანეევის სახელის უკვდავსაყოფად ქალაქ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს მისი სახელი.

პატივისცემით,
რექტორი, პროფესორი ჯემალ ძაგანია

0162. ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. № 49 ტელ.: +995 32 2250040
49 Chavchavadze Ave. 0162 Tbilisi, Georgia Tel: +995 32 2250040
www.sportuni.edu.ge

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032527437**
თარიღი: **01/10/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ნინო ბაგაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციის ვიცე- პრეზიდენტის ვასილ ბერიშვილის 2025 წლის 01 აგვისტოს საქმე #10/032521337-03 დაკავშირებით, რომლითაც მოთხოვნილია თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის მძლეოსნის ვიქტორ სანეევის სახელის მინიჭება. გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ვიქტორ სანეევის ქუჩის სიტუაციური ნახაზი დანართისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 2 (ორი) ფურცელი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



ვიქტორ სანეევი

(1945- 2022)

მძლეოსანი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი სამხტომში. სპორტის დამსახურებული ოსტატი, ვახტანგ გორგასლის I და II ხარისხის ორდენების, ღირსების ორდენის და ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენის კავალერი.

დაიბადა 1945 წლის 3 ოქტომბერს სოხუმში. მძლეოსნობაში ვარჯიში 1956 წელს სოხუმშივე, განთიადის სკოლაში დაიწყო, ცნობილი მწვრთნელის აკოფ ქერსელიანის მეთვალყურეობის ქვეშ. ვარჯიშობდა სიმაღლეზე ხტომაში, თუმცა 6 წლის შემდეგ ქერსელიანის რჩევით, სამხტომში ვარჯიში დაიწყო. პირველი ჯილდო 1963 წელს მოიგო, როცა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე მესამე ადგილი დაიკავა. დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით, მათ შორის ხალხთა მეგობრობის ორდენით 1976 წელს. 2005 წელს დაჯილდოებულ იქნა ათლეტთა ფედერაციების საერთაშორისო ასოციაციის (IAAF) ვერცხლის მედლით სპორტული მიღწევებისა და სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის.

სკოლის დამთავრების შემდეგ სანეევი თბილისში გადმოვიდა და „დინამოს" სახელით მონაწილეობდა შეჯიბრებებში. 1968 წელს სანეევი პირველად გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი სამხტომში (სულ რვაჯერ მოიგო საბჭოთა კავშირის პირველობა 1968-71, 1973-75 და 1978 წლებში). ორგზის მეორე პრიზიორი (1971, 78), მსოფლიოს უნივერსიადის ჩემპიონი (1971).

საბჭოთა კავშირის პირველობაზე გამარჯვებამ მას მექსიკის 1968 წლის ზაფხულის ოლიმპიადაზე წასვლის საშუალება მისცა, სადაც სანეევმა პირველი ოლიმპიური ოქრო მოიგო. აქ, 1968 წლის 17 ოქტომბერს, სანეევმა ორჯერ დაამყარა მსოფლიოს რეკორდი, გადახტა რა ჯერ 17.23, ხოლო შემდეგ 17.39 მეტრზე.

ოთხი წლის შემდეგ, კვლავაც 17 ოქტომბერს, სანეევმა კიდევ ერთხელ გააუმჯობესა საკუთარი რეკორდი, გადახტა რა 17.44 მეტრზე.

მექსიკის ზაფხულის ოლიმპიადის გარდა სანეევმა ოქროს მედლები მიუნხენის (1972) და მონრეალის (1976) წლების ოლიმპიადებზეც მოიგო, რითაც დააფიქსირა მსოფლიო სპორტში უნიკალური მიღწევა - ვიქტორ სანეევი ერთადერთი მძლეოსანია, რომელმაც ზედიზედ სამჯერ შეძლო სამხტომში ოლიმპიური ოქროს მოგება.

ძალიან ახლოს იყო ოქროს მედლის მოგებასთან ვიქტორ სანეევი 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადაზეც, სადაც მან ვერცხლის მედალი მოიპოვა, დათმო რა დუელი ესტონელ მძლეოსან ივაკ უუდმიაესთან.

1968, 1972 და 1976 წლებში დასახელდა საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენად.

ოლიმპიური ოქროს მედლების გარდა სანეევს მოგებული აქვს ათენის (1969) და რომის (1974) ევროპის ჩემპიონატები. საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი (ოქროს პრიზი).

იყო სპორტის დამსახურებული ოსტატი. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის, ვახტანგ გორგასლის I და II ხარისხის ორდენების, ღირსების ორდენის და ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენის კავალერი (2018). საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ორდენის მფლობელი.

1992 წლიდან ცხოვრობდა ავსტრალიაში და იყო ამ ქვეყნის მოქალაქე. სიდნეის ოლიმპიადაზე (2000) იყო საქართველოს ოლიმპიური ატაშე.

გარდაიცვალა 2022 წლის 3 იანვარს 76 წლის ასაკში, ქალაქ სიდნეიში.13 იანვარს დაკრძალეს სიდნეიშივე. დაკრძალვის წინ გამართულ სამგლოვიარო ცერემონიას თან ახლდა ორი ქართული სიმღერა — „ზამთარი“ და „საქართველოო ლამაზო“ „ცისფერი ტრიოს“ შესრულებით.